პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 5 იანვარი, 1952 წ. № 4 (9164). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ახალგაზრდობის აღზრდა დიდმნიშვნელოვანი პარტიული საქმეა — „პრავდის“ 4/I მოწინავე (1-ლი გვერდი).

შავი მეტალურგიის მინისტრის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი თუჯისა და ფოლადის გამოდნობის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში (1-ლი გვერდი).

ახალი წლის პირველი დღეები თბილისის საწარმოებში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — მაღალი ტიპის წრეების მუშაობის გაუმჯობესებისათვის (მე-2 გვერდი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა — გაუბედავი, მოკრძალებული კრიტიკა (მე-2 გვერდი).

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას უზენაეს საბჭოს (მე-3 გვერდი).

უცხოეთის [illegible] ი. ვ. სტალინის წერილზე კიოდის სააგენტოს მთავარი რედაქტორის ბ-ნ კ. ივამოტოსადმი (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი)

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი)

ახალგაზრდობის აღზრდა დიდმნიშვნელოვანი პარტიული საქმეა

ხაამურად და ბედნიერად ცხოვრობს სოციალისტური სამშობლოს დედობრივი ზრუნვით გამთბარი, კომუნიზმის მშენებლობის დიადი იდეებით ფრთებშესხმული საბჭოთა ახალგაზრდობა. საბჭოთა სახელმწიფო ცოდნის შეძენის, ტალანტისა და ნიჭის ყოველმხრივი განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდა თაობას. ჩვენი ახალგაზრდობა ლენინისა და სტალინის მითითებათა შესაბამისად გულმოდგინედ ეუფლება ცოდნას, აქტიურად მონაწილეობს კომუნისტურ მშენებლობაში.

ბოლშევიკური პარტია ახალგაზრდობას დაუცხრომლად ზრდის ლენინიზმის სულისკვეთებით, უნერგავს ახალგაზრდა თაობას საბჭოთა ეპოქის ახალი ადამიანის საუკეთესო და კეთილშობილურ თვისებებს. პარტია მუდამ ახვალის კომკავშირს, ახალგაზრდობას იჩენდეს ხელმძღვანელობას მიზნის მიღწევაში. საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობა იზრდება მხნე, ხალისიანი, მამაცი, რომელსაც არ ეშინია სიძნელეებისა და რომელიც მზად არის გადალახოს ყველა და ყოველგვარი დაბრკოლება კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის აღზრდილი ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის თავდადებული ბრძოლის ნიმუშებს გვიჩვენებს. კომკავშრელები, ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის შეჯიბრების მოთაგეებად გამოდიან.

კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა ყველა თავის წარმატებას უნდა უმადლოდეს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობას.

განსაზღვრავდა რა კომკავშირის ამოცანებს, ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1925 წელს აღნიშნავდა:

„კომკავშირელს უნდა ახსოვდეს, რომ პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კომკავშირის მთელ მუშაობაში. კომკავშირელს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე კომკავშირი ვერ შეასრულებს თავის ძირითად ამოცანას — პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმის სულისკვეთებით მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანას“.

ხელმძღვანელობენ რა ამხანაგ სტალინის მითითებებით, ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის. ახლა, როცა საბჭოთა ხალხი ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანებს, კიდევ უფრო იზრდება კომკავშირის როლი ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ახალგაზრდობის, ისევე როგორც ყველა მშრომელის, კომუნისტური აღზრდის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ სტალინს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ კომკავშირელთა, მთელი ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლება. პარტიული ორგანიზაციების დახმარებით კომკავშირში მოწყობილია წრეებისა და სკოლების ფართო ქსელი, კომკავშირული აქტივის მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლობს პარტიული განათლების სისტემაში. ასეულ ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მარქსისტულ-ლენინურ თეორიას სწავლობს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები მოითხოვენ კომკავშირულ ორგანიზაციებში პოლიტიკური განათლების შემდგომ გაუმჯობესებას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ზოგიერთ კომკავშირულ წრეს და პოლიტიკურ სკოლაში მეცადინეობა ნაკლებშინაარსიანია, ზოგჯერ ფორმალურადაც წარმოებს, დაბალია მისი იდეურ-თეორიული დონე. ცალკეული კომკავშირელი აქტივისტები აცხადებენ, თეორიას დამოუკიდებლად ვსწავლობთო, ნამდვილად კი სისტემატურად არ მუშაობენ თვითგანათლებისათვის. კომკავშირის სამხარეო კომიტეტმა დროზე არ მისცა მითითება კომკავშირულ ორგანიზაციებს და არ გაუწია მათ საჭირო დახმარება.

ახალგაზრდობის აღზრდა დიდმნიშვნელოვანი პარტიული საქმეა. პარტიულმა ორგანოებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ კომკავშირში პოლიტიკური განათლების ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს მყავთ კვალიფიციური პროპაგანდისტები, ლექტორები, მომხსენებლები, კონსულტანტები. პარტიული პროპაგანდისტების ამ დიდი არმიის ერთერთი არსებითი ამოცანაა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, ბოლშევიკური პარტიის თეორიისა და ისტორიის სისტემატური პროპაგანდა ახალგაზრდობაში.

ლენინ-სტალინის პარტია ახალგაზრდობას უნერგავს დიდ ინტერესს კულტურისადმი. საბჭოთა ახალგაზრდობა ცდილობს წარმატებით დაეუფლოს კაცობრიობის მიერ დაგროვებულ მთელ კულტურულ სიმდიდრეს. კომკავშირული ორგანიზაციების კულტურულ-მასობრივი მუშაობა მთლიანად უნდა ემსახურებოდეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მისი მრავალფეროვანი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ამოცანებს. ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოები მოვალენი არიან მეტი ინიციატივა და სიმტკიცე გამოიჩინონ კლუბებისა და ბიბლიოთეკების, სტადიონებისა და პარკების მუშაობის გასაუმჯობესებლად. კომკავშირულ ორგანიზაციას არ შეუძლია გულგრილი იყოს, როცა სამკითხველო დაკეტილია, როცა კლუბში არავითარი მუშაობა არ წარმოებს.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის რიგებში ახლა 14 მილიონამდე ჭაბუკი და ქალიშვილია. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაცია 19 მილიონზე მეტ მოსწავლეს აერთიანებს. იზრდება პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ საწარმოს, კოლმეურნეობის, სასწავლებლის, სკოლის მოწინავე ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობას. ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტიკური და შრომითი აქტივობა განუწყვეტლივ იზრდება. მით უფრო შეუწყნარებელია, რომ ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს კომკავშირის რიგებში მოწინავე ახალგაზრდობის მიღებას. ასეთი მდგომარეობაა, კერძოდ, სარატოვისა და კურსკის საოლქო კომკავშირულ ორგანიზაციებში. არ შეიძლება ითქვას, რომ ამას ვერ ამჩნევდნენ პარტიის სარატოვისა და კურსკის საოლქო კომიტეტები. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ახალგაზრდობაში მუშაობის ნაკლოვანებათა ზერელე კრიტიკის გარდა საოლქო კომიტეტები არაფერს აკეთებენ, თუმცა სავსებით ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა უფრო ღრმა კრიტიკა და უფრო კონკრეტული დახმარება.

ამ უკანასკნელ დროს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის შემდეგ, ბევრ ადგილას კომკავშირული ორგანიზაციები მეტ ყურადღებას აქცევენ სკოლების მუშაობას, პიონერთა აღზრდას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არ ემჩნევა გაუმჯობესება პიონერულ მუშაობას, არ წარმოებს ენერგიული ბრძოლა ყველა მოსწავლის მაღალი წარმატებისათვის. ასეა, მაგალითად, თათრეთის რესპუბლიკაში. სამწუხაროდ, პარტიის საოლქო კომიტეტი ვერ ამჩნევს სკოლების მუშაობის არსებით ნაკლოვანებებს.

პარტიული ორგანიზაციების არსებითი საქმეა ყოველდღიური მუშაობა კომკავშირულ კადრებთან, აქტივთან. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომკავშირში მუშაობს ბევრი ახალგაზრდა აქტიური ამხანაგი, რომლებსაც ჯერ არ შეუძენიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ გამოცდილება და ცოდნა შესაძენი საქმეა. საჭიროა, რომ ახალგაზრდობა განუწყვეტლივ, დაუცხრომლად მიისწრაფოდეს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისაკენ, საქმიანი თვისებების სრულყოფისაკენ. ამ მოთხოვნათა მიხედვით არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ისეთი მდგომარეობა, როცა, მაგალითად, ხაბაროვსკის კომკავშირულ ორგანიზაციაში ანგარიშგებასა და არჩევნებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნები შეცვალეს. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ პირველადს ორგანიზაციებში მუშაობდნენ მტკიცე, მცოდნე, გამოცდილი კადრები.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან აღზარდონ კომკავშირული აქტივი კომუნისტური პარტიის ყოველი დავალების შესრულებისათვის ბოლშევიკური პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. კომკავშირულ ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ახლის ძვირფასი გრძნობა, განუწყვეტლივ რაზმავდეს ახალგაზრდობის მასებს სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად. პარტიული ორგანოები უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებში ფართოდ იყოს განვითარებული კრიტიკა და თვითკრიტიკა—კადრების აღზრდის ნაცადი მეთოდი, ნაკლოვანებათა გამოვლინებისა და მათი აღმოფხვრის სწორი საშუალება. პარტიული კომიტეტების ამოცანაა სისტემატურად განიხილონ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხები, წარმართონ მათი საქმიანობა, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება.

საბჭოთა ახალგაზრდობას ლენინ-სტალინის პარტია ზრდის ინტერნაციონალიზმის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის სულისკვეთებით. კომკავშირის მთელ საქმიანობაში სახელმძღვანელო პრინციპია ამხანაგ სტალინის მითითება: „საჭიროა, რომ ინტერნაციონალიზმის სული ყოველთვის თავს დასტრიალებდეს კომკავშირს“. საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც ერთგულია ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა, ყველა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდში დგას, იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლაში ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

„პრავდის“ 4/I მოწინავე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ შავი მეტალურგიის სამინისტროს მეტალურგებმა თუჯის გამოდნობის 1951 წლისათვის დაწესებული სახელმწიფო გეგმა შეასრულეს 27 დეკემბერს და ფოლადის გამოდნობისა — 31 დეკემბერს.

თუჯისა და ფოლადის გამოდნობის გეგმის შესრულება მიღწეულია ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების სიმძლავრეთა გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებით, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფით, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვითა და ახალი ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების ამუშავებით.

ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების გამოყენების კოეფიციენტები, რომლებსაც მეტალურგებმა 1951 წელს მიაღწიეს, მნიშვნელოვნად უკეთესია ყველა წინა წელს მიღწეულ კოეფიციენტებზე.

გადაჭარბებით შესრულებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების სამინისტროსათვის დაწესებული 1951 წლის სახელმწიფო გეგმა.

შავი მეტალურგიის მინისტრი ი. თევოსიანი

რაციონალიზაჟორ მეშახტეთა წვლილი

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა რაციონალიზატორულ და საგამმგზავნებლო წინადადებათა შეგროვებისა და დანერგვის 1951 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი კონკურს-დათვალიერების შედეგები.

კონკურს-დათვალიერების დროს საწარმოებში შემოვიდა 12 ათასი წინადადება. მათგან თითქმის ნახევარი უკვე გამოყენებულია წარმოებაში, რაც იძლევა 40 მილიონ მანეთზე მეტ წლიურ ეკონომიას.

15 საწარმო, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს კონკურს-დათვალიერების დროს, პრემირებულია. მათ შორის არიან კომბინატები „კუზბასუგოლი“, „კემეროვუგოლი“, „სტალინუგოლი“, „პრიმორსკუგოლი“ და „სვერდლოვსკუგოლი“. (საკდესი).

შაქრის ახალი ქარხანა

კურსკის ოლქში ამუშავდა შაქრის ახალი ქარხანა „ბოლშევიკი“. იგი დღე-ღამეში გადაამუშავებს 10 ათას ცენტნერ შაქრის ჭარხალს.

ახალი საწარმო უხვად არის აღჭურვილი მოწინავე ტექნიკით. (საკდესი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში

3 იანვარს აკადემიკოს ვ. ვ. ვინოგრადოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომის ძირითადი ნაწილი მიეძღვნა ინსტიტუტის 1951 წლის მუშაობის შედეგების შეჯამებას, გამოკვლევათა განვითარებას ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური შრომების თვალსაზრისით.

მოსმენილ მოხსენებაში აღინიშნა, რომ გასულ წელს ინსტიტუტის კოლექტივი სწავლობდა ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, სპეციფიკის საკითხებს, ენის სტრუქტურის, ხალხისა და ენის განვითარების ურთიერთკავშირის, ენათა ისტორიული-შედარებითი შესწავლისა და სხვა საკითხებს. გამოცემულია საბჭოთა ენათმეცნიერების მთელი რიგი კაპიტალური შრომები.

ინსტიტუტმა გამოუშვა პირველი ტომი კრებულისა „ენათმეცნიერებაში მარქსიზმის ვულგარიზაციისა და დამახინჯების წინააღმდეგ“. იბეჭდება ამ კრებულის მეორე ტომი. დასაბეჭდად გადაცემულია აგრეთვე კრებული „საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები ენის შესახებ სტალინური მოძღვრების თვალსაზრისით“.

ინსტიტუტის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსული ენის შესწავლას. დასაბეჭდად მომზადებულია „თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის ლექსიკონის“ III და IV ტომები, დამთავრებული და დასაბეჭდად მომზადებულია „პუშკინის ენის ლექსიკონის“ I ტომი, იბეჭდება „თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის (ფონეტიკა და მორფოლოგია)“ I ტომი. პუშკინის დროის მწერალთა ენისა და სტილისადმი მიძღვნილ მთელ რიგ გამოკვლევებს შეიცავს „რუსული სალიტერატურო ენის ისტორიის მასალებისა და გამოკვლევების“ უკვე გამოსული II ტომი.

მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებდა თურქულ, ირანულ, ფინურ-უგრულ და ტუნგუზურ-მანჯურულ ენებზე, მათი გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შემადგენლობის შესწავლისათვის, სსრ კავშირის ხალხების ენათა დიალექტების აღწერისათვის, აგრეთვე რომანულ და გერმანულ ენებზე. (საკდესი).

ახალი წლის პირველი დღეები თბილისის საწარმოებში

★ ★ ★

მანქანათმშენებელთა მიღწევები

— ჩვენს საწარმოს კარგი ტრადიცია აქვს — ყოველი ახალი სამეურნეო წელი დაიწყოს საგეგმო დავალების გადაჭარბებით შესრულებით, — აცხადებს თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინერი პ. გიორგაძე, — ასევე წარმატებით დაიწყო ჩვენთან 1952 წელი.

ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე ქარხნის ყველა საამქრო და ბრიგადა, თვითეული მუშა სასახელო მაჩვენებლებით ასრულებს საწარმოო დავალებას. სტახანოვურად დაიწყო 1952 წელი პირველი ამწყობი საამქროს კოლექტივმა (უფროსი ი. ოსიპოვი), რომელმაც იანვრის პირველ დღეებშივე გაადიდა პროდუქციის გამოშვება. 2 და 3 იანვარს საამქროს სტახანოველებმა ორ-ორი ნორმა შეასრულეს. სტახანოვური შრომის ბრწყინვალე მაგალითებს იძლევა ამწყობი ზეინკალი ვლადიმერ ჯაჩიაშვილი, რომელიც ერთ თვეზე მეტია, რაც ა. ჟანდაროვას და ო. აგათონოვას მეთოდით მუშაობს. იგი აწყობს ამრეშუმის „უკრ-49“ საქსოვი დაზგის მეოთხე კვანძს. ორ დღეში მან ააწყო მეოთხე კვანძის 20 კომპლექტი და დავალება 250 პროცენტით გაანაღდა. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობს ამწყობი ზეინკალი სიმონ ვოიტოვი. 4 იანვრისათვის უკვე ააწყო მეცხრე კვანძის 30 კომპლექტი და ამით სამ დღეში 10 დღის ნორმა შეასრულა.

თავდადებულად მუშაობს ახალი წლის პირველ დღეებში სამსხმელო საამქროს კოლექტივიც. ჩამომსხმელმა ალექსი ბაკაშვილმა ცვლაში საქსოვი დაზგის 2 სადგარი უნდა ჩამოასხას, ნამდვილად კი ამ დღეებში იგი 6-7 სადგარს ასხამს. გამაშენდი იოსებ ხახუტაშვილი ყოველდღიურად ოთხის ნაცვლად 7-8 სხმულს წენდს.

სამეჭედლო საამქრო, მიუხედავად იმისა, რომ აქ დიდი ელექტროური დაზიანებულია და დღემდე არ არის შეკეთებული, საწარმოო დავალებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ცნობილი სტახანოველი მეჭედელი ვ. კორძაძე ცვლაში 5 ფილის ნაცვლად 18-20 ფილას ამზადებს. 3 და 4 იანვარს მან 22-22 ფილა გამოჭედა. ასევე სასახელო მაჩვენებლებით მუშაობს მეჭედელი ივანე სპიცინი, რომელიც დღიურ ნორმას 360-370 პროცენტით ანაღდებს.

ყველა მუშა ასრულებს გამომუშავების ნორმებს

გასული სამეურნეო წელი თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანაში წარმატებით დამთავრეს, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 271 ათასი მანეთის პროდუქცია და დაიცვეს ასორტიმენტი.

ახალი სამეურნეო წლის პირველ დღეებში ქარხნის საამქროებში მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა. 2 და 3 იანვარს დღიური საგეგმო დავალებანი ყველა მუშამ შეასრულა. წესრიგზე მოყვანილია მანქანა-დანადგარები, საწარმოო მოწყობილობა, მომზადებულია ძირითადი ნედლეულის ორი თვის მარაგი, რაც ქმნის იმის პირობას, რომ მიმდინარე სამეურნეო წელს შარშანდელთან შედარებით 12 პროცენტით გადიდებული საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულონ.

იანვარში ქარხანაში გუთნების, ტრემსების, სეკატორებისა და ჩაის საკრეჭი მაკრატლების დიდი პარტია უნდა გამოუშვან, 1952 წლის პირველი დღეები ამ მანქანათა ნაწილების დამზადებით დაიწყეს. გასული წლის დავალება სახარატო საამქრომ (უფროსი გ. ელბაქიძე) გადაჭარბებით შეასრულა და იანვარშიც წარმატებებს აღწევს. ყველას გაუსწრო გრიგოლ სახელამვილის ბრიგადამ. ბრიგადის წევრები გუთნის კონუსებს, ჭანჭიკებს, ტრემსების ონკანებს ჩარხავენ. 3 იანვარს ხარატმა ს. ბუიძემ ნორმით გათვალისწინებული 40-ის ნაცვლად 70 ცალი ონკანი გაჩარხა, ლ. ხუციშვილმა 200 ცალი გუთნის ჭანჭიკის ნაცვლად 320 ცალი ჭანჭიკი დაამზადა. ამ დღეს ბრიგადამ გამომუშავების დღიური ნორმა 180 პროცენტით შეასრულა.

ქარხანაში დიდ ყურადღებას აქცევენ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დეტალების დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვას. კულტივატორების სახელურებისათვის ფორმის მიცემას სამჭედლო საამქროში ხელით აწარმოებდნენ, დამუშავება დიდ დროს მოითხოვდა და სახელურებიც უთანაბრო ზომისა გამოდიოდა. სამჭედლო საამქროს უფროსის გ. სარჩიმელიას წინადადებით დეტალის ფორმის მიმცემი სპეციალური ტვიფრი შემოიღეს და კულტივატორების სახელურებს ამჟამად საწნეხ საამქროში ამზადებენ. მტვიფრავმა ნინო გელაძემ 3 იანვარს ახალი მეთოდით ნაცვლად 400 ცალისა 650 ცალი საუკეთესო ხარისხის კულტივატორის სახელური დაამზადა.

შეკეთებიდან გამოდის პირველი ორთქლმავლები

— არ შეეანელოთ აღებული ტემპები, კიდევ უფრო გაეაუმჯობესოთ საწარმოო მაჩვენებლები! — ამ ლოზუნგებით გააჩაღა თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა შრომა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე. გარეცხვითი შეკეთების საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ლენინის ორდენოსანი შ. ხიზანიშვილი ხელმძღვანელობს, 2 იანვარს შეკეთებიდან გამოუშვა პირველი 3 ორთქლმავალი. ამ საამქროს კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც მოწინავე ზეინკლები მ. ბარნაბიშვილი, კ. სინჯიკაშვილი და ს. არუთინოვი ხელმძღვანელობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებაში. იანვარში საამქრომ გეგმით 50 ორთქლმავალი უნდა შეაკეთოს. პირველი სამი დღის მუშაობით უკვე 9 ორთქლმავალი გამოუშვეს შეკეთებიდან და განზრახულია აქვთ თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 10 ორთქლმავალი შეაკეთონ.

მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნეს ახალი წლის პირველი დღეები აწევითი შეკეთების საამქროს მუშებმა, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ შეკეთებიდან ორთქლმავლების რიტმულად გამოშვებას. აქ დღეს, 5 იანვარს, ამთავრებენ პირველი ორთქლმავლის შეკეთებას, რაც 2 იანვარს დაიწყეს. შეკეთების დაჩქარების მიზნით საამქროში წინასწარ მოიმზადეს ორთქლმავლის გოგორრწყვილები. მოწინავე ზეინკლის ბ. მაზმიშვილის ბრიგადამ 2 დღეში დაამთავრა ამ ორთქლმავლის საკიპაჟო და სამუხრუჭო ნაწილების რემონტი, აგრეთვე ყველა გოგორრწყვილზე დაყენა ახალი თრევები და დავალება 150 პროცენტით შეასრულა.

სახელოვანი ზეინკლის ბ. ხმიადაშვილის ბრიგადამ 4-ის ნაცვლად 2 დღეში მოასწრო ორთქლმავლის გარნიტურის შეკეთება, დაეხმარა მექვაბეთა და მეარმატურეთა ბრიგადებს და დავალება 250 პროცენტით გაანაღდა. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობს ზეინკალ ა. შენგელიას ბრიგადა.

მაღალნაყოფიერი შრომაა გაჩაღებული დეპოს ყველა საამქროში. ორთქლმავალშემკეთებლები მთავარ ყურადღებას ახლა შეკეთების ხარისხს აქცევენ. შეკეთებიდან გამოდის პირველი ორთქლმავლები.

სტალინგრადის ი. ბ. სტალინის სახელობის მუზეუმის მე-15 წლისთავი

სტალინგრადი, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს გმირი ქალაქის საზოგადოებრიობამ აღნიშნა ი. ბ. სტალინის სახელობის ცარიცინ-სტალინგრადის დაცვის მუზეუმის დაარსების მე-15 წლისთავი.

მუზეუმის დირექციის თხოვნით ბევრი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოგზავნეს საინტერესო მასალები, რომლებიც ახასიათებენ საყოველთაო-სახალხო დახმარებას დიდი სამამულო ომის წლებში სტალინგრადის გმირი დამცველებისადმი და ახალი ქალაქის მშენებლებისადმი.

მუზეუმში გაიხსნა ახალი განყოფილება, მიძღვნილი მშვიდობისათვის სტალინგრადელთა ბრძოლისადმი. სპეციალურ ვიტრინებში ასახულია ვოლგა-დონისა და სტალინგრადის ჰიდროკვანძის მშენებლობა.

ა. ს. პუშკინის ნაწარმოებთა და მის შესახებ გამოსული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია

ლენინგრადი, 4 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის ლენინგრადის განყოფილებამ გამოუშვა რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „ა. ს. პუშკინის ნაწარმოებნი და მის შესახებ გამოსული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია. 1949 საიუბილეო წელი“.

დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავი, რაც 1949 წელს შესრულდა, იმით აღინიშნა, რომ უდიდესი ტირაჟებით გამოიცა მისი ნაწარმოებნი როგორც რუსულ ენაზე, ისე სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, გამოიცა აგრეთვე მრავალი გამოკვლევა მისი შემოქმედების შესახებ, პოეტისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოებნი და თეატრალური დადგმები, გაიმართა პუშკინისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები და სესიები. ცნობები ყოველივე ამის შესახებ მოთავსებულია გამოსულ წიგნში.

რუსულ კილოკავთა ატლასი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაამთავრა მუშაობა „მოსკოვის აღმოსავლეთით მდებარე ცენტრალური ოლქების რუსულ კილოკავთა ატლასზე“. წიგნში განზოგადებულია იმ დიალექტოლოგიური ექსპედიციების ნამუშევარი, რომლებიც რუსული ენის ისტორიისა და თავისებურებათა შესწავლაზე მუშაობდნენ.

ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა „ჩრდილო-დასავლეთი ოლქების რუსულ კილოკავთა ატლასის“ შედგენაზე. (საკდესი.)

ბალონები ღიად მშენებლობებზე ბინების გაზიფიკაციისათვის

ჟდანოვი, 3 იანვარი. (საკდესი). ქალაქის საწარმოები შეუდგნენ კომუნიზმის მშენებლობათა 1952 წლის დაკვეთების შესრულებას. დღეს მექანიკურმა ქარხანამ „უკრვოდსტროის“ გაუგზავნა პირველი 200 უნივერსალური ბალონი მშენებელთა ახალ დაბებში ბინების გაზიფიკაციისათვის.

მიმდინარე წელს ქარხანა დიად მშენებლობათათვის რამდენიმე ათას ასეთ ბალონს დაამზადებს.

ჩრდილოეთ ყირიმის არხის მშენებელთა შრომითი წარმატებანი

ჯანკოი, 4 იანვარი. (საკდესი). ჩრდილოეთ ყირიმის არხის მშენებლები აფართოებენ მოსამზადებელ სამუშაოთა ფრონტს. „უკრვოდსტროის“ № 11 საშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივმა საექსპლოატაციოდ გადასცა რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ჯანკოიში აშენდა ახალი უბნები, შეიქმნა სამრეწველო მოედანი, რომელსაც აქვს გარაჟი, სახელოსნო, ელექტროსადგური, ხე-ტყის სახერხი საამქრო. ახლა აქ აშენებენ დამხმარე საწარმოებსა და მასალის საწყობებს.

წელს აშენდება 3,5 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და რამდენიმე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება.

სტახანოველები იანვრის დამდეგიდან მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ ცვლის ნორმებს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. თ. თევოსიანის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და შავი მეტალურგიის მინისტრის ამხ. ი. თ. თევოსიანის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე და მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაში მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ივანე თევდორეს-ძე თევოსიანი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1952 წ 3 იანვარი.

პარტიული ცხოვრება

მაღალი ჭიპის წრეების მუშაობის გაუმჯობესებისათვის

(საქალაქო თათბირი კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში)

ამ დღეებში თბილისის კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში შედგა საქალაქო თათბირი, რომელიც მიეძღვნა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. თათბირს ესწრებოდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტები, სემინარების ხელმძღვანელები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

თათბირი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჯიბლაძემ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების მუშაობის შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ეკატერინე ლებანიძემ. თათბირმა მოისმინა აგრეთვე მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელის ამხ. ი. შარაშენიძის მოხსენება.

— უკანასკნელ წლებში, — აღნიშნა ამხ. ლებანიძემ, — მნიშვნელოვნად გაიზარდა კომუნისტების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლისადმი. პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო კონკრეტულად ხელმძღვანელობენ კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს. ამით უნდა აიხსნას, რომ ყოველწლიურად იზრდება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვი, დიდდება პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების რაოდენობა. 1949 წელს რაიონში პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის არც ერთი წრე არ არსებობდა, მიმდინარე სასწავლო წელს კი მაღალი ტიპის 27 წრე მუშაობს. ამ წრეებისა და მათში გაერთიანებული ამხანაგების რიცხვობრივ ზრდასთან ერთად სისტემატურად მაღლდება წრეების მუშაობის იდეური დონე. პარტიის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან პროპაგანდისტთა დასახმარებლად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სემინარების მუშაობის ჯეროვნად დაყენებას. რაიკომის პარტკაბინეტში სისტემატურად ეწყობა კვალიფიციური ლექცია-მოხსენებები თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე. პარტკაბინეტი ცალკეული თემების მიხედვით აწყობს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამოფენას, ამარაგებს პროპაგანდისტებს სახელმძღვანელოებით, საჭირო მასალებით. ხშირად ვამოწმებთ წრეების მუშაობას და ვეხმარებით მათ. ვაწყობთ თათბირებს წრეებისა და პროპაგანდისტების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად. პარტიის რაიკომის ბიურო ხშირად ისმენს პროპაგანდისტთა სემინარების ხელმძღვანელების, პარტორგანიზაციების მდივნებისა და ცალკე პროპაგანდისტების ანგარიშს წრეებში მეცადინეობის მიმდინარეობაზე და სახავს ღონისძიებებს მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

მთელ ჩვენს პროპაგანდისტულ მუშაობაში, — ამბობს მომხსენებელი, — განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობთ იმას, რომ გავამახვილოთ კომუნისტების ყურადღება სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლის გაძლიერებისაკენ. ვაწყობთ ლექციებს და მოხსენებებს თემებზე: „ლენინი და სტალინი კომუნისტური მორალის შესახებ“, „ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის შესახებ“, „საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობა“, „სოციალიზმის დროს პიროვნი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამების შესახებ“ და სხვ.

შემდეგ ამხ. ლებანიძემ მოიყვანა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების კარგი ნა, თუ რა გზით აღწევენ პროპაგანდისტები წარმატებას. ძაგრამ მაღალი ტიპის წრეების მუშაობაში ყველაფერი რიგზე როდია. ძაგალითად, თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის პარტორგანიზაციასთან არსებული მაღალი ტიპის წრე მნიშვნელოვნად ჩამორჩება პროგრამით გათვალისწინებული მასალის მესწავლაში. ამ წრის მსმენელები არადამაკმაყოფილებლად იმაღლებენ თეორიული მომზადების დონეს, აქტიურად არ მონაწილეობენ ცალკეული თემების განხილვაში, ვერ ადგენენ სრულყოფილ კონსპექტებს. წრის მუშაობის დაბალი იდეური დონე პირველ რიგში იმით უნდა აიხსნას, რომ პროპაგანდისტი შ. ლელაშვილი მოუმზადებელი ცხადდება მეცადინეობაზე, ვერ ერკვევა სწავლების მეთოდიკაში, ცალკე საკითხების განმარტებისას უშვებს შეცდომებს. იგი საჭიროდ არ თვლის იმუშაოს თავისი იდეურ-თეორიული მომზადების დონის ასამაღლებლად, სისტემატურად არ ცხადდება კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტთან არსებულ პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობაზე.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე კვების მრეწველობის სამინისტროს ლითოგრაფიისა და ცეკავშირის პარტორგანიზაციებთან არსებული მაღალი ტიპის წრეები. ნაკლოვანებანი ამ წრეების მუშაობაში, — განაცხადა დასასრულ მომხსენებელმა, — იმითაც უნდა ავხსნათ, რომ პარტიის რაიკომი, კერძოდ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება სათანადოდ ვერ ეხმარება წრეებსა და მათს ხელმძღვანელებს; ამ საქმეში ჩვენ მხოლოდ რაიკომის მუშაკებს ვეყრდნობით და ვერ ვიყენებთ რაიონის პარტიულ აქტივს. შეცდომები გვაქვს დაშვებული აგრეთვე ზოგიერთი წრის დაკომპლექტებაში, რის გამოსწორებაც დღემდე ვერ შევძელით.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტთან არსებული საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელმა ამხ. ი. შარაშენიძემ თავის გამოსვლაში დიდი ადგილი დაუთმო სემინარის მუშაობის მეთოდურ და ორგანიზაციულ საკითხებს, ილაპარაკა აგრეთვე სემინარში გაერთიანებულ პროპაგანდისტთა და ცალკე წრეების მუშაობის როგორც დადებით, ისე ნაკლოვან მხარეებზე.

— სემინარის მეცადინეობა რომ ნაყოფიერი იყოს, — თქვა მან, — საჭიროა მეცადინეობისათვის ბეჯითად ემზადებოდეს არა მარტო სემინარის ხელმძღვანელი, არამედ თვითეული პროპაგანდისტიც. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, როცა ყოველი მეცადინეობისათვის პროპაგანდისტებს წინასწარ ვამზადებ, ვაცნობ მათ მორიგი მეცადინეობის თემას, მივუთითებ წყაროებზე, ვამარაგებ ლიტერატურით, ვაძლევ კონკრეტულ დავალებას, ვურჩევ რა საკითხებს მიაქციონ მთავარი ყურადღება. ყველა პროპაგანდისტს ვავალებ, რომ მორიგ თემაზე მზად იყოს მოხსენებისათვის. ასეთი წესით მუშაობა საშუალებას იძლევა უზრუნველყოთ ამხანაგური დისკუსია თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე, უფრო შინაარსიანად და ცოცხლად ჩაატაროთ სემინარის ყოველი მეცადინეობა. ხშირად ვესწრები წრეების მეცადინეობას და მიღებულ შთაბეჭდილებებზე ვესაუბრები პროპაგანდისტებს. ვახდენთ მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილების გაზიარებას. გვაქვს ნაკლიც. სემინარის მუშაობის უფრო მაღალ იდეურ დონეზე დაყენებას, თქვა მომხსენებელმა, ხელს უშლის მეცადინეობაზე ზოგიერთი პროპაგანდისტის გამოუცხადებლობა. მაგალითად, პროპაგანდისტები დ. გამგებელი, კ. გიორხელიძე (ლენინის რაიონიდან), გ. ფაჩუაშვილი, ნ. ცომაია (სტალინის რაიონიდან), რ. ხარბედია, ვ. კეშელავა, რ. ჭელიძე (ბერიას რაიონიდან) დღემდე სემინარის არც ერთ მეცადინეობას არ დასწრებიან. პარტიის ზოგიერთი რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადო ზომებს არ იღებს იმ პროპაგანდისტების მიმართ, რომლებიც სისტემატურად აცდენენ სემინარის მეცადინეობას.

თათბირის მონაწილეებს თავისი წრის მუშაობის გამოცდილება გაუზიარა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციასთან არსებული მაღალი ტიპის წრის ხელმძღვანელმა ამხ. ნ. დავითაიამ.

— პროპაგანდისტული მუშაობა, — განაცხადა ამხ. დავითაიამ, — ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წინ დავიწყე. თავიდანვე ვიგრძენი, რომ საჭირო იყო დაუღალავად მემუშავნა საკუთარი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების დამოუკიდებლად სწავლასთან ერთად სისტემატურად ვესწრები ლექციებსა და მოხსენებებს, ვკითხულობ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ თეორიულ სტატიებს. დიდ დახმარებას მიწევს კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტთან არსებული სემინარი, რომლის მეცადინეობასაც სისტემატურად ვესწრები. წრის ყოველი მეცადინეობისათვის წინასწარ გულდასმით ვემზადები. საუბრის პროცესში ცალკე ისტორიული მომენტის გაშუქებას ვუკავშირებ თანადროულობას. წრის ზოგიერთმა მსმენელმა ისე აიმაღლა თავისი თეორიული მომზადების დონე, რომ ქარხნის პარტორგანიზაციამ შესაძლებლად ცნო მათთვის პროპაგანდისტის საპატიო მოვალეობა დაეკისრებინა.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. ნ. კორინთელმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ეხმარება ქარხნის პარტიული ორგანიზაცია მაღალი ტიპის წრეებს.

— ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ, — თქვა ამხ. კორინთელმა, — თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქცია მაღალი ტიპის წრეების სწორად დაკომპლექტებას და მის ხელმძღვანელებად შეარჩია პროპაგანდისტულ მუშაობაში გამოცდილი ამხანაგები. პარტიული კომიტეტის სხდომაზე სისტემატურად ვისმენთ ამ წრეების პროპაგანდისტთა მოხსენებებს, ვუსახავთ მათ ღონისძიებებს, ვეხმარებით ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ქარხნის პარტკაბინეტში საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების მსმენელთა დასახმარებლად მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა, წრის პროპაგანდისტებს ვეხმარებით ლიტერატურისა და ხელსაწყოების შერჩევასა და მომარაგებაში.

მაღალი ტიპის წრის მსმენელთათვის ხშირად ვაწყობთ კვალიფიციურ ლექციებს. თბილისის კომიტეტის ლექტორთა ძალებით წელს წაკითხულ იქნა ლექციები ლენინისა და სტალინის შემდეგი შრომების შესახებ: „რა ვაკეთოთ?“, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ და სხვ.

ქარხნის პარტიული კომიტეტი პერიოდულად მართავს წრის პროპაგანდისტთა თათბირებს, განაზოგადებს მოწინავე წრეებისა და პროპაგანდისტების გამოცდილებას. ვიხილავთ იმ კომუნისტების საკითხს, რომლებიც მეცადინეობას აცდენენ და სხვ.

თათბირის მონაწილეებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს აგრეთვე კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტთან არსებული საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრის პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელმა პროფესორმა დ. ბუდილევმა, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის პარტორგანიზაციასთან არსებული მაღალი ტიპის წრის პროპაგანდისტმა ამხ. ბ. დავითაშვილმა, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტის გამგემ ვ. ბიბილეიშვილმა და სხვებმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. მერკვილაძემ.

თბილისი. მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლადამთავრებული ახალგაზრდები საუკეთესოდ ეუფლებიან მაღალხარისხოვანი შალის, ქსოვის ტექნიკას და გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ერთი მათგანია მქსოველი ნადეჟდა ნეპოჩატოვაია. სურათზე: ნადეჟდა ნეპოჩატოვაია საქსოვ დაზგასთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

მახარაძის ფაიფურის ქარხანამ მუშაობა გააუმჯობესა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შემავალი მახარაძის ფაიფურის ქარხანა ყველა სახის ელექტროფაიფურს ამზადებს.

ქარხანაში წინათ სუსტი იყო შრომის დისციპლინა, არსებული მანქანა-დანადგარები კაპიტალურ რემონტსა და გამოცვლას საჭიროებდნენ. ნაკლებად ზრუნავდნენ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის და სხვ. ამის გამო ქარხანა წლითიწლობით ვერ ასრულებდა საწარმოო დავალებას.

ქარხნის ახალმა ხელმძღვანელობამ (დირექტორი ტ. თალაკვაძე) ყველა ზომა მიიღო მდგომარეობის გამოსწორებისათვის. ძველი მანქანა-დანადგარები კაპიტალურად შეაკეთეს, დადგეს კვარცისა და შპატის საფქვავი მანქანა. ქარხნის მუშობას დიდად აფერხებდა ნაკეთობათა საშრობი საამქროს უქონლობა; ეს საკითხიც ამჟამად მოგვარებულია, უზრუნველყოფილია ნაკეთობათა დროული და ხარისხობრივი გაშრობა. ფაიფურის მასის გასამდიდრებლად ქარხანა წინათ სპეციალურ თიხას ეზიდებოდა რესპუბლიკის გარედან, ჩასოვიარსკიდან. მოწინავე რაციონალიზატორების წინადადებით აღნიშნული თიხა შეცვლილ იქნა ადგილობრივი თიხით — „ასკანგელით“, რამაც დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და 6 პროცენტის ნაცვლად 18,9 პროცენტით შეამცირა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

ქარხნის კოლექტივმა ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა 1951 წლის გეგმა. საწარმოო გეგმის შესრულებაში სახელი გაითქვა „ასკანგელის“ პროდუქციის დამამზადებელმა საამქრომ, რომელსაც მ. ევგენიძე ხელმძღვანელობს. ამ საამქრომ ორი თვით ადრე შეასრულა წლიური გეგმა. დავალებას წარმატებით ასრულებენ აგრეთვე ფაიფურის მასის დამამზადებელი და ნაკეთობათა დამყალიბებელი საამქროები, რომლებსაც ც. კიღურაძე და კ. ჯაყელი ხელმძღვანელობენ. ბეჯითი შრომით ქარხანაში თავი ისახელეს მოწინავე მუშებმა: ე. დოლიძემ, ვ. ვასაძემ, ნ. ბოლქვაძემ, ვ. სოროზანიშვილმა, ა. მელუამ, მ. შიპიცინამ, ავტომძღოლებმა ა. მამალაძემ, კ. ანდღულაძემ, ჭ. არაშიძემ და სხვებმა.

წელს ქარხანას განზრახული აქვს სოფელ მაკვანეთში გახსნას კაოლინის თიხის, ხოლო სოფელ ცეცხლატურში ცეცხლგამძლე თიხის კარიერები და ამრიგად ძირითადად უზრუნველყოს ქარხნის ადგილობრივი ნედლეულით მუშაობა, რაც დიდად შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას. გათვალისწინებულია აგრეთვე წარმოების გაფართოება და კაფელის ღუმელის საამქროს მოწყობა.

ვ. ჯაყელი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ადიდებენ აგურის გამოშვებას

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). აგურ-კრამიტის ქარხნის კოლექტივმა 1951 წლის დავალება ორი თვით ადრე გაანაღდა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.688.000 ცალი აგური და 3 ათასი ცალი კრამიტი. ნაკისრი ვალდებულებანი სასახელოდ შეასრულეს აგურის საყალიბო (უფროსი თ. კაკაშვილი) და გამოწვის საამქროებმა (უფროსი ი. გოგოლაშვილი). ქარხნის მოწინავე მუშები გ. ბერულაშვილი, გ. ყვირილაშვილი, ვ. რთველიაშვილი, ა. მედულაშვილი, რ. მურადაშვილი, ლ. რუზნიკოვა და სხვები დღიურ საწარმოო დავალებებს 140-160 პროცენტით ასრულებენ.

გურჯაანელი მეაგურეები 1952 სამეურნეო წელს გასულ წელთან შედარებით 9 მილიონით ზრდიან აგურის გამოშვებას. ამ დავალების განსახორციელებლად წარმოებს ქარხნის საამქროების რეკონსტრუქცია.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კომკავშირის პლენუმი

ყაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ზოდელავას საანგარიშო მოხსენება ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: ა. გობრონიძე (კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი), ს. რიგვავა (კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), შ. ქობალია (კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანი), ა. ბეგიაშვილი (კომკავშირის ლაგოდეხის რაიკომის მდივანი), შ. კოპალიანი (კომკავშირის ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომის მდივანი), მ. გონგლაძე (კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი), რ. ბზიშვილი (კომკავშირის გორის რაიკომის მდივანი), პ. თედეევი (კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი), ს. კვარაცხელია (კომკავშირის წალენჯიხის რაიკომის მდივანი), გ. ყამიერაშვილი (კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი), შ. ბერიანიძე (კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი), შ. გაგოშიძე (გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი), პ. ცვარიანი (კომკავშირის ცაგერის რაიკომის მდივანი), გ. გავრილოვი (კომკავშირის წალკის რაიკომის მდივანი), ა. ფარულავა (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე), ვ. ურუშაძე (კომკავშირის ლანჩხუთის რაიკომის მდივანი), ზ. თელია (კომკავშირის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი), ე. აგლაძე (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი).

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის კომკავშირმა საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაატუმჯობესეს ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური სწავლის ხარისხი. პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაძლიერების შედეგად საქართველოს კომკავშირი სისტემატურად ზრდის თავის რიგებს მოწინავე ახალგაზრდობის მიღების გზით.

განუხრელად იზრდება ახალგაზრდა მუშების საწარმოო აქტივობა. თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და სხვა ქალაქების მთელი რიგი საწარმოებისა და კომკავშირული ორგანიზაციები ... ახალგაზრდა მუშები ... ადამიანი სოციალისტური დამოკიდებულების მაგალითს იძლევიან, სტახანოვურად მუშაობენ.

სოფლის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს ძარცვლეული და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის, ხორბლის ნათესის, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების, ვენახების შემდგომი გაფართოებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

ამასთანავე პლენუმზე აღინიშნა არსებითი ნაკლოვანებანი საქართველოს კომკავშირის მუშაობაში. გამოსულმა ამხანაგებმა გააკრიტიკეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები და ბიუროს წევრები იმისათვის, რომ ისინი ცუდად არიან დაკავშირებული კომკავშირულ ორგანიზაციებთან, იშვიათად აკეთებენ მოხსენებებს ახალგაზრდობისათვის.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ხშირად დაგვიანებით აცნობს კომკავშირულ ორგანიზაციებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. კომკავშირული ჟურნალ ჟიდეე სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ვერ წარმართავს ახალგაზრდობის აქტივობას სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, საბჭოთა კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად. კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად დაცვისათვის.

პლენუმზე საქართველოს კომკავშირის მორიგი ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საანგარიშო მოხსენების გამო მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. ზოდელავა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. მ. მიგრელიშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბალავაძემ და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ე. კისელიოვმა.

პრესის მიმოხილვა

გაუბედავი, მოკრძალებული კრიტიკა

პრესის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განაზოგადოს დადებითი მუშაობის გამოცდილება, ულმობლად ამხილოს უარყოფითი მოვლენები, გააჩაღოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, დაუღალავად იბრძოლოს თვითდამშვიდების წინააღმდეგ.

ამ პრინციპულ სიმაღლეზე ჯერ კიდევ არ დგას საჩხერის რაიონული გაზეთი **„ოქტომბრის გზით“**. ამაში გვარწმუნებს გაზეთის უკანასკნელ ექვსი თვის ნომრების გაცნობა. გაზეთში არ იგრძნობა გაბედული, ბოლშევიკური კრიტიკა. ჩამორჩენასა და ნაკლოვანებებზე იწერება მორიდებულად, ზერელედ.

გაზეთმა გასული წლის 14 ივლისს დაბეჭდა მოწინავე წერილი — „ძიერული პრესა და პარტიული ორგანიზაციები“. იგი მეტად ზოგადია. წერილში დასახელებული არ არის არც ერთი მოწინავე ან ცუდი კედლის გაზეთი. დასასრულ ნათქვამია:

„კედლის გაზეთები მოწოდებული არიან ამხილონ ნაკლოვანებანი, გააკრიტიკონ და გაკიცხონ ჩამორჩენილნი. პარტიული ორგანიზაციების წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, რათა კედლის გაზეთების ყოველ სამართლიან კრიტიკას მხარი დაუჭირონ და ამით აამაღლონ მასებში გაზეთის ავტორიტეტი“.

გაზეთი თითქოს სწორ დასკვნას აკეთებს, მაგრამ ცუდია, რომ რასაც სხვას ასწავლის, თვითონ არ ასრულებს. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს.

კარგად მოიქცა გაზეთი, რომ 11 ივლისს მოწინავე წერილი მოსავლის აღებას მიუძღვნა. იქ დასახელებულია სამი მოწინავე კოლმეურნეობა, ხოლო უმისამართოდ გაკრიტიკებულია „ზოგიერთი“ კოლმეურნეობა, სადაც ცუდად მოემზადნენ მოსავლის აღებისათვის. გაზეთი დაკმაყოფილდა ასეთი ზოგადი ფრაზებით:

„ახლა, როცა მოსავლის აღება დაწყებულია, უნდა მივაღწიოთ მისი წარმოების(!) მაღალ ტემპს, მთლიანად აღვკვეთოთ დანაკარგები. მოსავლის აღების პირველი დღეები გვიჩვენებენ, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია, კერძოდ ზოგან ეს სამუშაო ჭიანურდება, საჭირო ყურადღება არ ექცევა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას“.

გაზეთი ცოტას წერს მანქანა-ტრაქტორთა სადგურში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე. უკანასკნელ ექვს თვეში ამ თემაზე დაიბეჭდა მხოლოდ ერთი კორესპონდენცია „კიდევ უფრო აეამაღლოთ სააგიტაციო მუშაობის ხარისხი“. იქ ძირითადად მიღწევებზეა ლაპარაკი. ნაკლოვანებებს მხოლოდ ერთი ზოგადი აბზაცი დაუთმეს. აი რას წერს გაზეთი:

„ამასთან ერთად სააგიტაციო მუშაობის საქმეში დღემდე ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ყველა აგიტატორი კიდევ ვერ უზრუნველყოფს აგიტაციის სისტემატურობას, მათი საუბრის თემატიკა ღარიბია და ვერ მოიცავს ჩვენი ქვეყნის დიდი მშენებლობის, საერთაშორისო მდგომარეობისა და მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა წინაშე მდგომი ამოცანების განმარტებას“.

წერილში არაცერთი სუსტად მომუშავე აგიტატორი არ არის დასახელებული. გაზეთი გამოთქვამს უმისამართო საყვედურს, რომელიც კონკრეტულად არავის ეხება.

5 სექტემბერს გაზეთმა მოწინავე მიუძღვნა პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლისათვის მზადებას. აქ ყველაფერი ზოგადია, კონკრეტულად არცერთი ორგანიზაცია და პროპაგანდისტი არ არის დასახელებული. წერილში ნათქვამია:

„მიუხედავად იმისა, რომ წარმატებით იქნა დამთავრებული გასული სასწავლო წელი, პარტიული განათლების ქსელში, ყველა წრესა და სკოლაში მაინც არ მიმდინარეობდა მეცადინეობა ორგანიზებულად. ზოგიერთმა მათგანმა პროგრამაც ვერ ამოწურა, ყველა პროპაგანდისტი არ ეკიდებოდა მთელი პასუხისმგებლობით ამ საპატიო მოვალეობის შესრულების საქმეს, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი არ აქცევდა ჯეროვან უყურადღებას წრეებისა და სკოლების ნორმალურ მუშაობას, არ იღებდა ქმედით ზომებს შემნეულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრისათვის“.

ამავე საკითხს გაზეთი კვლავ დაუბრუნდა 26 სექტემბერს, როცა რაიკომის პარტიული კაბინეტის გამგის ამხ. ს. ლაშხის წერილი დაიბეჭდა. ავტორი ზოგადად წერს ნაკლოვანებებზე:

„გასულ სასწავლო წელს ზოგიერთი პროპაგანდისტი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულების საქმეს, ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლას, ზოგიერთი პროპაგანდისტი სისტემატურად არ ეხმრებოდა სემინარების მეცადინეობას და არ ზრუნავდა თავისი თეორიული დონის ამაღლებისა და პროპაგანდისტული ხელოვნების გაუმჯობესებისათვის... სერიოზული ნაკლოვანებები არსებობდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი დახმარების საქმეში. კომუნისტების ნაწილი ფორმალურად იყო ჩარიცხული ინდივიდუალური გეგმით მომუშავეთა სიაში. ფაქტიურად ისინი არ მუშაობდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დასაუფლებლად“.

არც ერთი კონკრეტული ფაქტი, არც ერთი გვარი!

გაზეთი „ოქტომბრის გზით“ (რედაქტორი გ. პაპიძე) ერიდება, გაურბის ნაკლოვანებათა პირდაპირ, მოურიდებელ, გაბედულ, პრინციპულ ბოლშევიკურ კრიტიკას.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გაზეთში აქა-იქ ვხვდებით რამდენიმესტრიქონიან კრიტიკულ შენიშვნებს, მაგრამ მათზე გამოხმაურებას იშვიათად ნახავთ. ჩანს, საჩხერეში ნაკლებად უსმენენ საკუთარი გაზეთის ხმას.

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს თავის გაზეთს, არ ზრდის რედაქციის მუშაკებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

იაფი ელექტროენერგია საკოლმეურნეო სოფელს

წყალტუბო. (სპეც. კორ.). სოფლის მთლიანი ელექტროფიკაციისათვის მუხიანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ 6 კილომეტრ მანძილიდან დაიწყო ელექტროდენის გამოყვანა. ელექტროდენს მიიღებს 800-მდე კომლი. გარდა ამისა, დენი გამოყენებულ იქნება სოფლების მუხიანის და მესხეთის საკოლმეურნეო წისქვილების, სახერხი ქარხნისა და სახელოსნოს მუშაობისათვის. ელექტროგაყვანილობისათვის მოტანილია და იდგმება ბოძები, საკმაო რაოდენობით არის შეძენილი კაბელიც. მთლიანად ხაზის გამოყვანა ახლო მომავალში დამთავრდება.

ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობაში

ცხაკაია. (საკ. კორ.). 1952 წლის დასაწყისისთვის ძველი სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობას შეემატა რამდენიმე ახალი ნაგებობა.

დამთავრდა 40 სული მუშა-ცხენისათვის გათვალისწინებული თავლის აგება, რაზედაც 125.500 მანეთი დაიხარჯა. დაიწყო დიდი საცხოვრებელი სახლის აგება.

ჭექნიკური კონფერენცია თვითღირებულების შემცირების საკითხზე

ჭიათურა. (საკ. კორ.). კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტს თაოსნობით მოეწყო ტექნიკური კონფერენცია მარგანეცის თვითღირებულების შემცირების საკითხზე. კონფერენციისათვის მზადება ადრე დაიწყო.

ამ დღეებში ქალაქის კულტურის სახლში შეიკრიბნენ ახალგაზრდები. კონფერენცია გახსნა საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. უ. სხირტლაძემ.

მოხსენებით თემაზე — „მარგანეცის პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები“ — გამოვიდა მარგანეცის ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსი ინჟინერი შ. პაქსაშვილი. მან დაწვრილებით ილაპარაკა პროდუქციის თვითღირებულების ელემენტებზე, თვითღირებულების შემცირების გზებსა და მნიშვნელობაზე, კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, თუ რა ღონისძიებები გატარდა სამაგრი მასალის, ელექტროენერგიის და სხვა მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის. დასასრულ მომხსენებელმა კონფერენციის მონაწილეებს მოუწოდა ფართოდ გამოეხმაურონ მ. ლენინოკოსა და გ. მუხანოვის პატრიოტულ

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას უხეშად არღვევენ

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების საფუძველზე გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში საგრძნობლად იმატა მოსავლიანობამ და შემოსავალმა, გაიზარდა შრომადღის ღირებულება, მიღწეულია კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცება. მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში კვლავ ვხვდებით არტელის სტალინური წესდების დარღვევის ფაქტებს.

სოფელ ბაკურციხის ჩარკვიანის სახელობის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში ანგარიშწარმოება მოუწესრიგებელია. ყოფილი ბუხჰალტერი შ. გოძიაშვილი არ ამოწმებდა ანგარიშვალდებული პირებისაგან მიღებულ საბუთებს, შრომადღეების აღრიცხვასა და დარიცხვას შეუწყნარებლად აჭიანურებდა, ყურადღებას არ აქცევდა გამომუშავების ნორმების შესრულებას. ამით სარგებლობდნენ ცალკეული პირები და საკოლმეურნეო ქონებას იტაცებდნენ. 1951 წლის პირველ კვარტალში სარეგიზო კომისიისა და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორ-ბუხჰალტრის მიერ მოხდენილი შემოწმების შედეგად საწყობის გამგეს ა. ლუაშვილს აღმოაჩნდა 157 ლიტრი ღვინის, 35 ლიტრი არყის, 50 კილოგრამი ყველის, 232 კილოგრამი ბეზნიის დანაკლისი. ამისათვის ის არ დასჯეს, დანაკლისი „შინაურულად“ ფულით დაიფარვინეს. გასული წლის აპრილში კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. შაკიაშვილმა და ვინმე ე. იაკუტოვმა შეადგინეს საბუთი, რომლითაც იაკუტოვს მანქანის რემონტისათვის უნდა მიეღო 3.000 მანეთი. აღმოჩნდა, რომ იაკუტოვს სინამდვილეში რემონტისათვის ერგებოდა 1.000 მანეთი, მაგრამ სანამ ეს გამორკვეოდა კ. იაკუტოვს უკვე მიღებული ჰქონდა 2.500 მანეთი.

კოლმეურნეობაში გამომჟღავნდა მოტყუების ფაქტებიც. ბრიგადირმა მიხეილ ჯადუგიშვილმა სიმინდის ნათესი უჩვენა 14,18 ჰექტარი, სინამდვილეში ჰქონდა 18,4 ჰექტარი. მოტყუების გზით ბრიგადამ პრემიად მიიღო 9.965 კილოგრამი სიმინდი. თვითონ ბრიგადირმა პრემიად წაიღო 1.801 კილოგრამი მარცვლეული. ასეთი ბოროტმოქმედებისათვის ბრიგადირი მ. ჯადუგიშვილი არ დაუსჯიათ.

რას იტყვის კოლმეურნეობის გამგეობა იმაზე, რომ მექათმეობის ფერმის გამგემ ყარამნიშვილმა და მ. ქურთიაშვილმა წიწილები მაღალი ტემპერატურის ოთახში მოათავსეს და ამოწყვიტეს? ან ფერმაში 799 ფრთა ქათამი რომ დაიხოცა? რატომ არ მიიღეს ზომები?

ფაქტია, რომ დამნაშავეებს ხელი დააფარეს. ბუხჰალტერი შ. გოძიაშვილი ხელს უწყობდა სხვებს ბოროტმოქმედების ჩადენაში და თვითონაც ეწეოდა წამგლეჯობას. ცნობილია, რომ მინდის სიმინდის ცალკეულ პირებზე გაცემა სასტიკად აკრძალულია. შ. გოძიაშვილმა კი თვითნებურად 6 ფუთზე მეტი მინდის სიმინდი წაიღო. ამავე დროს მას წაღებული აქვს 8.055 მანეთი. ეს საკითხი კოლმეურნეთა საერთო კრებაზე განიხილეს, მაგრამ კომბინატორ ბუხჰალტრის მიმართ სათანადო ზომები არ მიიღეს. მას სამუშაოდან განთავისუფლება აკმარეს.

კოლმეურნეობაში სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ მეცხოველეობის განვითარების საქმეს. ამას ისიც მოწმობს, რომ 1951 წლის 15 დეკემბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 324 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნაცვლად ჰყავდათ 294 სული, 260 ღორის ნაცვლად — 211, 20 ცხენის ნაცვლად—16, 27 ოჯახი ფუტკრის ნაცვლად—23, 900 ფრთა ქათმის ნაცვლად—275. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიეღოთ 875 ლიტრი რძე, მიღებული აქვთ მხოლოდ 231 ლიტრი. კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი შრომისუნარიანი 752 კაციდან საგრძნობ ნაწილს არა აქვს გამომუშავებული. პასუხისგებაში უნდა მიეცათ 23 კაცი, მაგრამ პასუხისგებაში გადასაცემთა საბუთები უჯრაში ჩაკეტეს.

კოლმეურნეობა ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში. ამიტომ შრომადღეებზე გასანაწილებელი ხვედრი დაბალია, არ სრულდება მოსავლიანობის გეგმა.

ყოველივე ეს იცის პარტიის გურჯაანის რაიონულმა კომიტეტმა, მაგრამ გადამწყვეტ ზომებს არ იღებს საქმის გამოსასწორებლად.

სოფელ ჭანდრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. მანიჟაშვილი თავს ვერ ართმევდა მუშაობას; კოლმეურნეობაში იყო საზოგადოებრივი ქონების განიავების შემთხვევები. არაკეთილსინდისიერი პირები სარგებლობდნენ არეულ-დარეული ანგარიშწარმოებით. თვითონ თავმჯდომარეს ი. მანიჟაშვილს 1951 წლის თებერვალში უკანონოდ წაღებული აღმოაჩნდა 11.312 მანეთი, რაც ამას წინათ დაფარა, აგრეთვე რვა ფუთზე მეტი მარცვლეული. კოლმეურნეობის ყოფილი ბუხჰალტერი გ. ქოროღლიშვილი დროზე არ ამოწმებდა საბუთებს, კონტროლს არ უწევდა პროდუქტებისა და ფულის გაცემას. ამით სარგებლობდნენ არაკეთილსინდისიერი პირები. კოლმეურნეთა საერთო კრებამ ამ დარღვევათა საკითხი ზერელედ განიხილა, ამიტომ მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტებს ვხვდებით სოფელ ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაშიც. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. ამის გამო დროულად არ სრულდება გეგმები. საშემოდგომო თესვის დავალება დიდი დაგვიანებით ძლივს შეასრულეს. ვერ უზრუნველყვეს სიმინდის მოსავლის უდანაკარგოდ აღება. სიმინდის ნაწილი დალპა. კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის სიმინდის ჩაბარების გეგმა. შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, რომ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან წევრთა 30 პროცენტზე მეტს. 9 ნოემბერს პასუხისგებაში გაიხადეს რამდენიმე კოლმეურნე. მათი საქმის გარჩევა სახალხო სასამართლომ გააჭიანურა.

1950 წლის შრომადღეების ანგარიშში ამ კოლმეურნეობის წევრებს ერგებათ 134.300 მანეთი. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობის ადმინისტრაციულმა პერსონალმა 1950 წლის შრომადღეებზე კუთვნილი თანხა დიდი ხანია გაიწალდა. კოლმეურნეობას ჰყავს ანგარიშვალდებული პირები, რომლებსაც 15 დეკემბრისთვისაც წარმოდგენილი არ ჰქონდათ 16.003 მანეთის დოკუმენტები.

გასული წლის ოქტომბერში მეცხვარეობის ფერმის გამგეს რ. მოვლენიშვილს 35 სული ცხვარი დააკლდა. ფერმის გამგე „თავს იმართლებდა“, ცხვრები მომპარესო. ამით უხდოდა თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა. მართალია, მას ცხვრების ანაზღაურება დააკისრეს, მაგრამ ჯერაც არ აუნაზღაურებია. კოლმეურნეობაში მუშაობენ საკმაოდ ჰყავთ, მაგრამ მისი მაქსიმალურად გამოყენების ნაცვლად იყენებენ დაქირავებულ შრომას. მეცხვარეობის ფერმაში სხვა რაიონებიდან დაქირავებული ჰყავთ ე. ალხანიშვილი, ქ. ღანირაშვილი, ყ. ალხანიშვილი, მ. ტოხორაშვილი, ვ. გორგიშვილი, ვ. წუწუშვილი, ი. გამაროიძე, ბ. ფარეულიძე და ქ. ალხანიშვილი. მეძროხეობის ფერმაში მწყემსებად დაქირავებული ჰყავთ 6 კაცი. აღგილობრივი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი მ. იაშვილი) თავს არ იწუხებს კოლმეურნეობაში წესრიგის დამყარებისათვის, საკოლმეურნეო ქონების დაცვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის საბრძოლველად კომუნისტების დასაარაზმავად. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჯმუხაძე თავს ვერ ართმევს მუშაობას. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მას კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ.

რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ყურადღებას არ აქცევენ და არ ამოწმებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილების იმ პუნქტს, რომლის საფუძველზე ანგარიშწარმოების მუშაკებმა, გარდა უფროსი მოანგარიშისა, უნდა გამოიმუშაონ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის 25 პროცენტი. აღნიშნულ კოლმეურნეობებში და სხვაგანაც ეს წესი არ განუხორციელებიათ. რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში ანგარიშწარმოების სუსტი მუშაკები ჰყავთ. ამ კადრების მომზადება-გადამზადებაზე არავინ ფიქრობს. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას შტატით ეკუთვნის ორი ინსტრუქტორ-ბუხჰალტერი, ჰყავს ერთი და ისიც თავს ვერ ართმევს მუშაობას. სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ი. ინდაშვილი სუსტად, არაკონკრეტულად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს, ხოლო ამ განყოფილების აპარატი მიწერ-მოწერით კმაყოფილდება. ამის შედეგიც არის ის, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაშლილია საკოლმეურნეო აღრიცხვის საქმე.

ბოლო უნდა მოვუღოთ საკოლმეურნეო წესდების დარღვევას, აღვკვეთოთ დამნაშავეთა მფარველობა, დავიცვათ და მთელი ძალით განვავითაროთ საზოგადოებრივი მეურნეობა — კოლმეურნეობის სიძლიერისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის საფუძველი.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ. (საკ. კორ.). შედგა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მორიგი, მეოთხე სესია. ოლქის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სესიაზე მოხსენება გააკეთა საოლქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ დეპუტატმა ზ. ფირადაშვილმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რომლებიც მოპოვებულია ოლქის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, ამასთან აღნიშნა ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ არის ოლქის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში. ბევრი სამკურნალო დაწესებულება მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში. ზნაურის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სამკურნალო დაწესებულებათა შენობების რემონტს. უწესრიგობაა ჯავის რაიონულ პოლიკლინიკაში. „საქმშენის“ გორის კანტორამ შეუწყნარებლად გააჭიანურა სამშობიარო სახლის შენებლობა ქ. სტალინირში. ცუდად მუშაობენ მთელი რიგი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ეხმარება ოლქის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს სამკურნალო დაწესებულების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაში.

თანამოხსენება გააკეთა საოლქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ს. ხახანოვმა.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა შ. ცხოვრებაშვილმა, ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. თედეევმა, ს. ზერეკიძემ, ბ. ფლიევმა, ვ. კასრაძემ, მ. მეშვილდიშვილმა, — ჯანმრთელობის დაცვის ლენინგორის რაიონული განყოფილების გამგემ ამხ. ც. ყარალაშვილმა და სხვ., სულ 11 კაცმა.

განხილული საკითხის გამო სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ

რა გვიშლის ხელს რემონტის საქმეში

ულიანოვკის მტს-ი დროულად შეუდგა ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებას. მიუხედავად ამისა, საქმე ბრკოლდება ზოგიერთი ხელის შემშლელი მიზეზების გამო. მოუწყობელია მტს-ის სახელოსნო. არა გვაქვს საათადარიგო ნაწილები. „გლავავტოტრაქტორსბიტის“ და საქართველოს სოფლმომარაგების განყოფილებებს არ მოეპოვებათ მანქანა-იარაღების ზოგიერთი ნაწილები და საჭირო მასალები. დიდ სიძნელეს განიცდით „დტ-54“ მარკის ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო. საქართველოს სოფლმომარაგების წნორის განყოფილებაში სრულიად არ მოიპოვება ჟუთხოვანი რკინა, არ არის 22 მილიმეტრს ზევით მრგვალი რკინა.

თუ ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ არ გამოსწორდა, მოსალოდნელია ტრაქტორების რემონტის გაჭიანურება.

„გლავავტოტრაქტორსბიტის“ საქართველოს კანტორის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები საჭირო ნაწილებისა და მასალების შემოზიდვისათვის.

ზ. ᲩᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ულიანოვკის მტს-ის უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲔᲜ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1951 წლის 13 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია სოფელ ახალდაბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო წესდების დამახინჯების შესახებ. ეს საკითხი განხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ბოროჯომის რაიკომის ბიურომ და ახალდაბის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. გ. ავალიშვილს შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის სუსტად დაყენებისათვის, შრომადღეების არასწორად დარიცხვისა და თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვისათვის გამოუცხადა საყვედური.

მოანგარიშე ი. გელაშვილს შრომადღეების არასწორად და ზედმეტად დარიცხვისათვის, თანხების არადანიშნულებისამებრ ხარჯვისათვის გამოუცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ა. ქველაძეს გამოეცხადა საყვედური, მეცხოველეობის ფერმის გამგეს ამხ. გ. ჩადუნელს — მიეთითა.

რაიკომის ბიურომ დაავალა პროკურატურას პასუხისგებაში მისცეს კოლმეურნეობის ფერმაში 15 სული ცხვრის დახოცვაში დამნაშავე პირები,

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ Ბ-Ნ Კ. ᲘᲕᲐᲛᲝᲢᲝᲡᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲐ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 3 იანვარი. (რადიოცნობა). იაპონიის დემოკრატიული საზოგადოებრივობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამხანაგ ი. ბ. სტალინის საახალწლო წერილს იაპონელი ხალხისადმი. იმის გამო, რომ 2 იანვარს იაპონური გაზეთები არ გამოსულა, ტოკიოში ამხანაგ ი. ბ. სტალინის წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „ტოკიო სიმბუნის“ მხოლოდ გუშინდელ საღამოს გამოშვებაში, რომელმაც მოათავსა იგი პირველ გვერდზე შუა ადგილას ამხანაგ ი. ბ. სტალინის ფოტოსურათთა და სათაურით: „ვეუსურვებთ იაპონელ ხალხს თავისუფლებასა და ბედნიერებას, პრემიერ სტალინის წერილი იაპონელი ხალხისადმი“.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 3 იანვარი. (რადიოცნობა). იაპონიის ყველა გაზეთი მთავარ ყურადღებას აქცევს ამხანაგ ი. ბ. სტალინის საახალწლო წერილს იაპონელი ხალხისადმი.

გაზეთებმა „ასახი“, „მაინიჩი“, „იომიურიმ“, „ნიპონ ტაიმსი“ და სხვებმა თვალსაჩინო ადგილას და დიდი სათაურებით გამოაქვეყნეს ი. ბ. სტალინის წერილის სრული ტექსტი. გაზეთი „ასახი“ ათავსებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის წერილის სათაურით: „მე მჯერა, რომ იაპონია მიაღწევს დამოუკიდებლობას. სტალინის წერილი“; გაზეთი „იომიური“ — სათაურით „პრემიერმა სტალინმა წერილი გამოუგზავნა იაპონელ ხალხს“; გაზეთი „ტოკიო ტაიმსში“, „ნიჰონ კეიზაში“ და „ძიძი სიმპოში“ გამოქვეყნებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის წერილის შინაარსი სათაურებით: „გისურვებთ წარმატებას მშვიდობის შენარჩუნებაში“, „პრემიერმა სტალინმა წერილი გამოუგზავნა იაპონელ ხალხს“, „პრემიერ სტალინის უპრეცედენტო საახალწლო წერილი“.

იაპონიის გაზეთების უმრავლესობა ათავსებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის ფოტოსურათებს.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲐ

პეკინი, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს ჩინეთის ცენტრალურმა გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს ამხანაგ სტალინის საახალწლო წერილი იაპონელი ხალხისადმი.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ, 3 იანვარი. (საკდესი). შანხაის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა დღეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის დეპეშა კოიდოს საგენტოს მთავარი რედაქტორის ბ-ნ ივამოტოსადმი.

გენერალისიმუს სტალინის წერილი, წერს გაზეთი „დაგუნაიო“, მიმართულია მეგრძელი იაპონელი ხალხისადმი. ეს წერილი გაამხნევებს იაპონელი ხალხი, რომელიც, უეჭველია, შეძლებს გამარჯვებამდე მიიყვანოს გმირული ბრძოლა თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს გაზეთებმა „რუდე პრავომ“, „მლადა ფრონტამ“, „პრაცემ“, „ზემლედელსკი ნოვინმ“, „ობრანა ლიდუმ“ და სხვებმა უკომენტაროდ თვალსაჩინო ადგილას მოათავსეს ი. ბ. სტალინის სახალწლო წერილი იაპონელი ხალხისადმი. სლოვაკიის ცენტრალურმა გაზეთებმაც დაბეჭდეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის წერილი იაპონელი ხალხისადმი.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ სათაურით: „მშვიდობისა და თავისუფლების სიტყვები“ აქვეყნებს მოწინავე ტაბლოიდ, რომელიც მიძღვნილია ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ იაპონელი ხალხისათვის გაგზავნილი საახალწლო წერილისადმი.

„სტალინის სიტყვებს, — წერს გაზეთი, — კოლოსალური მნიშვნელობა აქვს იაპონელი და სხვა ხალხებისათვის. კოლოსალური მნიშვნელობა—იმიტომ, რომ ეს სიტყვები თქვა საბჭოთა კავშირის—იმ სახელმწიფოს ხალხთა ბელადმა, რომელმაც თავისი ირსებობის პირველი დღეებიდანვე აშკარად განაცხადა, რომ იგი სიმპათიით ეპყრობა და მხარს უჭერს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ხალხს. კოლოსალური—იმიტომ, რომ ეს სიტყვები თქვა მსოფლიოში მშვიდობისათვის პირველმა მებრძოლმა, რომელიც გამოხატავს ყველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის მისწრაფებას. ის, რომ სტალინმა იაპონელ ხალხს უსურვა „სრული წარმატება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მამაცურ ბრძოლაში“ გაამხნევებს 80 მილიონიან იაპონელ ხალხს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

როგორც ევროპაში დასავლეთ გერმანიას, ისევე შორეულ აღმოსავლეთში იაპონიას ამერიკელი იმპერიალისტები გამალებით აქცევენ ახალი აგრესიის კერებად. ეყრდნობიან რა ამ ქვეყნების მილიტარისტულ რეაქციულ ელემენტებს, იაპონიისა და დასავლეთ გერმანიის ხალხთა სურვილის წინააღმდეგ, უოლ-სტრიტის აგრესორები პლაცდარმს ქმნიან მესამე მსოფლიო ომის გასაჩაღებლად. აი რატომ აქვს ასეთი უდიდესი მნიშვნელობა მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში ორივე ამ ქვეყნის ხალხთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ოკუპაციისა და აგრესიის წინააღმდეგ.

ამერიკელი იმპერიალისტები, ახორციელებენ რა თავიანთ აგრესიულ გეგმებს, იხდენენ იაპონიის ოკუპაციას, ორთმევენ მის ხალხს სუვერენულ უფლებებს. როგორც დასავლეთ გერმანიაში, საერთაშორისო ხელშეკრულებათა საწინააღმდეგოდ, პოტსდამის დეკლარაციის დარღვევით, ამერიკელმა ოკუპანტებმა იაპონიაშიც დატოვეს მსხვილი სამხედრო კონცერნები და ისინი ნიუ-იორკის ბანკებს დაუმორჩილეს. იაპონიის მრეწველობა სწრაფად გადაჰყავთ საჭურველის წარმოებაზე და ამავე დროს სპობენ მრეწველობის სამშვიდობო დარგებს. იაპონიის კუნძულები წარმოადგენენ ამერიკელი აგრესორების მთავარ ბაზას მათს ბარბაროსულ ომში კორეელი ხალხის წინააღმდეგ. იაპონიის ნავსადგურებიდან, რომლებსაც კონტროლს უწევს რიჯუეი, კორეის ფრონტზე მიდიან ჯარისკაცებითა და იარაღით დატვირთული ხომალდები. იაპონიის აეროდრომებიდან ამერიკის ბომბდამშენები თავს ესხმიან ფხენიანს, ამერიკული მუნდირებით გამოწყობილი იაპონელი ფაშისტები და საპყრობილეებიდან განთავისუფლებული სამხედრო დამნაშაულები მონაწილეობას იღებენ ომში. ამერიკელი აგრესორები ცდილობენ განახორციელონ იაპონელი მილიტარისტებისა და ჰიტლერელი ფაშისტების ძველი გეგმები.

შედეგები ამ პოლიტიკისა, რომელიც საკმაოდ უცხოა იაპონელი ხალხისათვის, მთელი თავისი სიმძიმით იაპონელ ხალხს აწვება მხრებზე.

ფსეთ მდგომარეობაში, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, ი. ბ. სტალინის საახალწლო სურვილი შეეფერება იაპონელი ხალხის მისაბის ყველაზე მხურვალე მისწრაფებებსა და სურვილებს, ხალხის მასებისა, რომლებიც ბრძოლას ეწევიან უცხოელი ოკუპანტების, რეგილიტარიზაციისა და თავიანთი ქვეყნის რეაქციის წინააღმდეგ.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 3 იანვარი. (საკდესი). ყველა ბულგარულმა გაზეთმა გამოაქვეყნა ტექსტი ი. ბ. სტალინის დეპეშისა კოიდოს საგენტოს მთავარი რედაქტორისადმი. გაზეთები ამასთან დაკავშირებით აქვეყნებენ აგრეთვე ბულგარეთის თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელგადო მოღვაწეების, ცნობილი სტახანოველების—სოციალისტური შრომის გმირების და დიმიტროვული პრემიის ლაურეატების მრავალ გამოხმაურებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი აკადემიკოსი ლიუდმილ სტოიანოვი გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოში“ წერს: ი. ბ. სტალინის დეპეშით კოიდოს საგენტოს მთავარი რედაქტორისადმი გამოხატულება ჰპოვა სამკუთხა ხალხის ულრმესმა და წრფელმა გრძნობებმა დიდ უბედურებაში ჩავარდნილი იაპონელი ხალხისადმი, რომელიც განიცდის იაპონიის მილიტარიზმის უგუნური აგრესიული პოლიტიკის შედეგებს და ეწევა ამერიკის ოკუპაციის ტვირთს.

სტალინის დიდსულოვანი და კეთილშობილური სიტყვები, მიმართული იაპონელი ხალხისადმი, გამოხატავენ საბჭოთა მშვიდობისმოყვარეთა პოლიტიკას და პატივისცემას ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი.

ი. ბ. სტალინის სიტყვები გამოძახილს პოვებენ ყველა აზიელი ხალხისა და სხვა ხალხების გულში, რომლებიც ამერიკის იმპერიალიზმის უღელქვეშ გმინავენ.

ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲘ, 3 იანვარი. (საკდესი). ყველა დღეგანდელი უნგრული გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს კოიდოს საგენტოს მთავარი რედაქტორის კ. ივამოტოსადმი ი. ბ. სტალინის წერილის ტექსტს.

გაზეთი „საბად ნეპი“ ამხანაგ ი. ბ. სტალინის წერილს უძღვნის სარედაქციო სტატიას სათაურით: „გამამხნევებელი მისალმება იაპონელი ხალხისადმი“. ამხანაგ სტალინის საახალწლო მისალმებას იაპონელი ხალხისადმი, წერს „საბად ნეპი“, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იაპონელი ხალხისათვის, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხისათვისაც. ამხანაგ სტალინის წერილი მშვიდობის წერილია. ამ წერილით მთელი მსოფლიო და, უწინარეს ყოვლისა, იაპონელი ხალხი ხედავს, რომ ბრძოლას ამერიკის სამხედრო გეგმების წინააღმდეგ მოეპოვება მძლავრი მხარდაჭერა, რომ საბჭოთა ხალხისა და მისი დიდი ბელადისათვის გასაგებია იაპონელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი, და ისინი დიდი თანგრძნობით უსურვებენ ოკუპაციით დატანჯულ იაპონელ ხალხს წარმატებას თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 3 იანვარი. (საკდესი). ადგილობრივ ეროვნულ გაზეთებს, „ᲠᲐᲑᲝᲢᲜᲘᲩᲔᲡᲙᲝ ᲓᲔᲚᲝᲨᲘ“ ᲬᲔᲠᲡ: Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲘᲗ ᲙᲝᲘᲓᲝᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲡᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამერიკის ბანაკის სხვა ქვეყნების ცდა ძირი გამოუთხარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას

კარიზი, 2 იანვარი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიამ საშობაო და საახალწლო არდადეგების შემდეგ მუშაობა განაახლა. პოლიტიკური კომიტეტი დილის სხდომაზე შეუდგა ეგრეთწოდებული „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ მოხსენების განხილვას.

„კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ შექმნა გათვალისწინებული იყო გენერალური ასამბლეის ძალისუფლებით, რომელიც მიღებულ იქნა 1950 წლის 3 ნოემბერს ამერიკანიზერიის ბლოკის ქვეყნების დელეგაციების ზეგებით. მიიღეს ამ რეზოლუციისა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოქმებში მოხსენიებულია ყალბი სახელწოდებით „გაერთიანებული მოქმედება მშვიდობის სასარგებლოდ“, ახალი რგოლი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ღონისძიებებში, რომელთა მიზანია გადაიქცონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეერთებული შტატებისა და მათი მორჩილი ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების აგრესიული პოლიტიკის განხორციელების იარაღად. შეერთებულ შტატებს სურთ მოიპოვონ შესაძლებლობა, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით დაფარონ თავიანთი აგრესიული მოქმედება იმის მსგავსად, როგორც მათ 1950 წლის ივნისში ჩაიდინეს, როცა უშიშროების საბჭომ, შეიკრიბა რა უკანონო შემადგენლობით, სსრ კავშირის მონაწილეობის მიუღებლად, მოიწონა ამერიკის ინტერვენცია კორეის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათთან ერთის ბანაკში მყოფი ქვეყნების ამ განზრახვის განხორციელების გზაზე დაბრკოლებას წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული პრინციპი ერთხმივობისა უშიშროების საბჭოში, რომელსაც წესდებით ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა შენარჩუნებისათვის. სწორედ უშიშროების საბჭო წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფუძველს, მის საძირკველს, რამდენადაც მხოლოდ მას აქვს მინიჭებული უფლება და უფლებამოსილება იბრძოლოს აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ და გამოიყენოს ის საშუალებანი, რომლებითაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არც ერთი სხვა ორგანო, მათ შორის გენერალური ასამბლეაც, აღჭურვილი არ არის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორია წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ამყოლი ქვეყნების მთელ წყება ცდებს — უშიშროების საბჭოს მეშვეობით მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც სანქციის მისაკემდნენ ამ სახელმწიფოთა უკანონო მოქმედებას, რომლის მიზანია მშვიდობის საქმისათვის ძირის გამოთხრა, და ხელს გაუხსნიდნენ მათ მომავალში ისეთი მოქმედების განსახორციელებლად. მაგრამ ეს ცდები მუდამ აწყდება საბჭოთა კავშირის მტაცეც წინააღმდეგობის. მშვიდობისა და ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკის ერთგული სსრ კავშირი მუდამ აძლევდა ხმას უშიშროების საბჭოში ამერიკა-ინგლისის ბლოკის ქვეყნების წარმომადგენელთა ყველა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია საერთაშორისო უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა და მათი იმპერიალისტური პრეტენზიების დაკმაყოფილება. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი იმპერიალისტური წრეების ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო წარმომადგენელი დალესი აღიარებდა, „ვეტო ხელს უშლიდა უშიშროების საბჭოს გაეკეთებინა ის, რაც ჩვენ (ე. ი. ამერიკის შეერთებულ შტატებს.—კორ. შენიშვნა) გვსურდა და რაც საბჭოთა კავშირს არ სურდა“.

ამიტომაც შეერთებულ შტატებსა და მის სატელიტებს გენერალური ასამბლეის ყველა ხესიაზე იერიში მიაქვთ უშიშროების საბჭოში ერთხმივობის პრინციპზე და კოლექტიური უშიშროების ღონისძიებათა ნიღაბით ცდილობენ შეასუსტონ უშიშროების საბჭო და მისი უფლებანი და უფლებამოსილებანი გადასცენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს, მათ შორის გენერალურ ასამბლეასაც, სადაც გადაწყვეტილებანი გამოაქვთ ხმის უბრალო უმრავლესობით და სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს უზრუნველყოფილი უმრავლესობა აქვთ. ვერ ბედავენ რა პირდაპირ დასვან საკითხი ერთხმივობის პრინციპის გაუქმების შესახებ, რადგან ეს არც თუ ისე ადვილი და ურისკოა, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება შემოვლითი გზით დაარღვიონ. სწორედ იმისათვის, რომ გვერდი აუაროს უშიშროების საბჭოში ერთხმივობის პრინციპს, ამერიკა-ინგლისის ბლოკმა გამოიგონა და გენერალური ასამბლეის სესიის 1947 წელს მიიღებინა რეზოლუცია ეგრეთწოდებული სასესიათაშორისო კომიტეტის შექმნის შესახებ, რათა მისთვის გადაეცა რაც შეიძლება მეტი უფლება და უფლებამოსილება, რომლებიც უშიშროების საბჭოს ეკუთვნის. ეს წამოწყება მარცხით დამთავრდა.

მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელი არ აუღიათ თავიანთ განზრახვაზე და წინა სესიის 1950 წლის 3 ნოემბერს მიიღებინეს ხსენებული რეზოლუცია სახელწოდებით „გაერთიანებული მოქმედება მშვიდობის სასარგებლოდ“. ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ რეზოლუციით და შეეხება გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევის წესს მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხისა თუ მშვიდობის დარღვევის შემთხვევებში, მშვიდობის შენარჩუნებისადმი მეთვალყურეობის კომისიის დაარსების წესს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ შეიარაღებული ძალების გამოყოფის და მშვიდობის შესანარჩუნებლად ამ ძალების გამოყენების წესს, წარმოადგენს წესდების ყოვლად უხეშ დარღვევას და მიმართულია იმისაკენ, რომ გენერალურ ასამბლეას გადაეცეს ის უფლებანი და უფლებამოსილებანი მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში, რომლებიც წესდებით ხმოლოდ უშიშროების საბჭოს ეკუთვნის.

ამ ღონისძიებათა რიცხვს, რომლებიც გათვალისწინებულია შარშანდელი რეზოლუციით „გაერთიანებული მოქმედება მშვიდობის სასარგებლოდ“, ეკუთვნის აგრეთვე დაარსება ეგრეთწოდებული „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტისა 14 ქვეყნის (ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ბელგიის, ბირმის, ბრაზილიის, ვენესუელის, ეგვიპტის, კანადის, მექსიკის, თურქეთის, ფილიპინებისა და იუგოსლავიის) წარმომადგენელთა შემადგენლობით. ამ უკანონო კომიტეტს დაეკისრა არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში სამხედრო ხასიათის ცნობების შეგროვება და სამხედრო რესურსებისა და შეიარაღებული ძალების რეზერვების გამოკვლევა, არამედ აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის კოლექტიურ ღონისძიებათა კეგმის შემუშავება, რაც, წესდების თანახმად, ძალიანად ეკუთვნის უშიშროების საბჭოს და მისადმი დაქვემდებარებული სამხედრო-საშტაბო კომიტეტის კომპეტენციას.

რეზოლუციის „გაერთიანებული მოქმედება მშვიდობის სასარგებლოდ“ ავტორები ცდილობდნენ ამ კომიტეტის დაარსება, ისევე როგორც ამ რეზოლუციით გათვალისწინებული სხვა უკანონო ღონისძიებანი გაემართლებინათ იმის დაბოლოებით, რომ უშიშროების საბჭო თითქოს პარალიზებული და უუნარო აღმოჩნდა შეესრულებინა თავისი ამოცანები მშვიდობის შენარჩუნების საქმეში საპროცედურო საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას ერთხმივობის პრინციპის გამო. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის დელეგაციამ გენერალური ასამბლეის მეხუთე სესიაზე ამხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესორული ბირთვის წარმომადგენელთა ამ მტაცეცების სიყალბე და ცხადყო, რომ მშვიდობის უზრუნველყოფის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები უშიშროების საბჭოში გადაუტრელი აღმოჩნდა არა იმიტომ, რომ ის მოქმედებს ერთხმივობის პრინციპით, არამედ იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მორჩილი სახელმწიფოთა აგრესიული ძალგუფება, უხეშად თელავენ რა ფეხქვეშ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, ისწრაფვიან უშიშროების საბჭოს თავს მოახვიონ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ნაკარნახევია ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების ეგოისტური ინტერესებით და რომლებიც ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად მიზნებს.

„კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის მოხსენება, რომელიც ამჟამად გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის პოლიტიკურ კომიტეტს წარედგინა, მშვიდობის შენარჩუნების ნიღბით შეიცავს ისეთ რეკომენდაციებს, რომლებიც შეიძლება დახასიათებულ იქნას მხოლოდ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნების ინტერესებისათვის. ამ რეკომენდაციათა ძირითადი მიზანი ის არის, რომ უშიშროების საბჭოს წაართვან მისი უფლებანი და რწმუნებანი და ეს უფლებანი და რწმუნებანი გადასცენ გენერალურ ასამბლეას, სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს, მათდამი მორჩილ უმრავლესობაზე დაყრდნობით, შეუძლიათ გაიყვანონ ყოველგვარი გადაწყვეტილება თავიანთი აგრესიული გეგმების დასაფარავად.

პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად წარმოდგენილია აგრეთვე 11 სახელმწიფოს რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლევა დამტკიცებულ იქნას ის დასკვნები, რომლებსაც „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ მოხსენება შეიცავს. რეზოლუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს ურჩევს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ეროვნული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში საბრძოლო ნაწილების გამოყოფას და მათს გადაცემას გენერალური ასამბლეის განკარგულებაში, თუმცა წესდებით ასეთი საბრძოლო ნაწილების გამოყოფა და მათი გამოყენება წარმოადგენს უშიშროების საბჭოს და მის ხელმძღვანელობაში მყოფი სამხედრო-საშტაბო კომიტეტის ფუნქციას.

რეზოლუცია წესდების დარღვევით წინადადებას აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს „რაც შეიძლება მალე“ დანიშნოს სამხედრო ექსპერტების ჯგუფის წევრები, რათა ტექნიკური მითითებანი მიეცეთ სახელმწიფოებს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბრძოლო ერთეულების“ მომზადებისა და ორგანიზაციის შესახებ, რაც აგრეთვე წარმოადგენს უშიშროების საბჭოს პრეროგატივას. რეზოლუცია აგრეთვე ითვალისწინებს ერთი წლით გაგრძელდნენ იქნას უკანონო „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ საქმიანობა.

დამახასიათებელია, რომ ამ რეზოლუციის ავტორები არიან სწორედ ის სახელმწიფოები (გარდა ბირმის, ეგვიპტის და მექსიკისა) რომლებიც შეადგენენ „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ ბირთვს და რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი მაძალობით ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე.

ამავე სახელმწიფოთა წარმომადგენლები პოლიტიკური კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე იცავდნენ როგორც „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ მოხსენებას, ისე ამ მოხსენების გამო რეზოლუციის პროექტს.

ავსტრალიის დელეგატმა იკისრა ამოცანა დამტკიცებინა ისეთი რამ, რის დამტკიცებაც არ შეიძლება, სახელდობრ ის, რომ ეს ღონისძიებანი არ წარმოადგენენ უშიშროების საბჭოს უფლებათა და რწმუნებათა ულაზეოდ ერთ ერ ცდილვართ გვერდი აგვეცლო უშიშროების საბჭოსათვის“, — განაცხადა ავსტრალიელმა. მაგრამ ამ ღონისძიებათა დაწვრილებითმა მიმოხილვამ, რაც მან გააკეთა, დაადასტურა, რომ ეს ღონისძიებანი წარმოადგენენ მთელ რიგ ხრიკებს, რომლებიც მიმართულია იმისაკენ, რომ გენერალურ ასამბლეას გადაეცეს უშიშროების საბჭოს ძირითადი ფუნქციები მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში.

თუმცა ავსტრალიის დელეგატმა ქება-დიდება შეასხა „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ მოხსენებას, მაგრამ მის სიტყვაში აისახა ამერიკული ბანკის ბევრი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მისწრაფება—თავი აარიდონ ამ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებებში“ მატერიალურ მონაწილეობას, რომლებიც როგორც კორეის ამბებმა დაგვანახვა, ნამდვილად წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ აქციებს, რაც მათი ეგოისტური ინტერესებისათვის ხორციელდება. ავსტრალიის დელეგატმა თქვა, რომ ასეთ ღონისძიებათა განსახორციელებელი ხარჯების ტვირთი უნდა განისაზღვროს „ყოველ ცალკე შემთხვევაში“. მან არაორაზროვნად გაახსენა დამსწრეთ, რომ ავსტრალიამ „უკვე შეიტანა თავისი წვლილი“, გაგზავნა რა თავისი ჯარები კორეაში, სადაც ისინი, როგორც ცნობილია, ამერიკის დანაშაულებრივ შეიარაღებულ ინტერვენციაში მონაწილეობენ.

შემდეგ სიტყვა აიღო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა კოენმა, რომლის გამოსვლა წარმოადგენდა ცდას — მშვიდობის შესახებ მაღალფარდოვანი და ფარისევლური ფრაზებით შეენიღბა „კოლექტიურ ღონისძიებათა“ იმ ყალბი სისტემის ნამდვილი არსი, რომელიც შემუშავებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი კარნახით, რათა საშუალება მიეცა მათთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით დაეფარათ აგრესიული გეგმები და მოქმედება.

უნდა ითქვას, რომ კოენმა ეს თვითონ უნებლიეთ ცხადყო, ქება-დიდება შეასხა რა კორეის სახალხო რეპუბლიკაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებულ თავდასხმას და დასახა რა ეს თავდასხმა, როგორც იმ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ ნიმუში, რომლებსაც ითვალისწინებს „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ მოხსენება.

კორეა, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა, „კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის მხოლოდ დასაწყისია“. მან მოუწოდა დამსწრეთ გაიფარფოონონ ამ სისტემის გამოყენება, რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო ჩაიბან მის განხორციელებაში. ყოველმა თქვენგანმა უნდა შეიტანოს საკუთარი წვლილი, იძახდა იგი, მიმართავდა რა ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნების დელეგატებს.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რატომ ასე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი „კოლექტიურ ღონისძიებათა“ მის მიერ გამოგონებული სისტემის ეგრეთწოდებულ „უნივერსალობას“. საქმე ის არის, რომ ბევრი სახელმწიფო, სიტყვით უერთდება რა ამ სისტემას, საქმით ცდილობს ამ სისტემის განხორციელებაში თავისი მონაწილეობა „მორალური მხარდაჭერით“ შემოფარგლოს. ისინი ხედავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია კორეაში სასტიკად მარცხდება, და ალარა სურთ იკისრონ ვალდებულება, რომ თავიანთი ჯარისკაცები და რესურსები მოახმარონ ასეთი ავანტიურების განხორციელებას. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ამერიკული ბანკის მთელ რიგ სახელმწიფოთა პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც მათ დაუსვა „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტმა“ იმის შესახებ, თუ რა მატერიალურ მონაწილეობას მიიღებენ ისინი ამ „კოლექტიურ ღონისძიებებში“.

ბევრმა სახელმწიფომ, რომელიც ჩვეულებრივ თავის პოლიტიკაში ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰყვება, თავი აარიდა პასუხს ან ამ კითხვებზე გასცა მეტად ბუნდოვანი და გაურკვეველი პასუხი, ისე რომ არსებითად არაფერი არ აღუთქვამს. სწორედ ეს იწუხებს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს, რომელნიც უიმედოდ არიან ჩაფლული კორეის ავანტიურაში. თუ კორეაში დაზავება არ იქნა მიღწეული, ისტერიულად გაჰყვიროდა კოენი, საჭირო გახდება, რომ კორეაში მონაწილეობა მიიღოს ყველა თქვენგანმა და არა მარტო რამდენიმე სახელმწიფომ, რომელიც ახლა იქ მოქმედებს. მან მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილ სახელმწიფოებს რაც შეიძლება მალე წარმოადგინონ ცნობები, თუ რა ოდენობის ძალები და საშუალებანი შეუძლიათ მათ გადასცენ „გაერთიანებული ერების. ორგანიზაციის განკარგულებაში“ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ განსახორციელებლად, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ამერიკელთა აგრესიული სამხედრო გეგმების განსახორციელებლად.

ბელგიისა და დიდი ბრიტანეთის დელეგატებმა სოლიდარობა გამოუცხადეს როგორც „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ მოხსენებას, ისე ამ მოხსენების გამო რეზოლუციის პროექტს. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ წინადადებათა თანაავტორები არიან.

ცოტა სხვანაირად ილაპარაკა შვეიციის წარმომადგენელმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ უშიშროების საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებანი აგრესიის წინააღმდეგ იძულებითი ღონისძიებების შესახებ და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოსათვის საჭიროებელია მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილებანი. რაც შეეხება გენერალურ ასამბლეას, თქვა მან, მას შეუძლია რეკომენდაციები გასცეს მხოლოდ შესაბამის საკითხებზე და არ შეუძლია მიიღოს წევრ სახელმწიფოებისათვის იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილებანი. მან აღიარა, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც მოითხოვს რეზოლუცია „გაერთიანებული მოქმედება მშვიდობის სასარგებლოდ“, წარმოადგენენ გენერალური ასამბლეისათვის იმ ფუნქციებისა და უფლებათა გადაცემას, რომლებიც წესდებით მხოლოდ უშიშროების საბჭოს აქვს. ასეთ გზაზე დადგომა, თქვა მან, ერთგვარი რისკია საყოველთაო მშვიდობის თვალსაზრისით. ამ ღონისძიებებს შეუძლია გაანამტიკიცოს მსოფლიოს 2 ბანაკად გათიშვა, რასაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. მან აღნიშნა, რომ შვეიცია ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ ღონისძიებებსა და სანქციებში, რომლებსაც შეუძლიათ მსოფლიო ომი გამოიწვიონ. შვეიცის მთავრობა „კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის“ მოხსენების ზოგიერთი ტექნიკური დასკვნის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ უფლებას იტოვებს, რომ ამ მოხსენებისადმი თავისი პოზიცია განსაზღვროს მოხსენების გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ.

შვეიცის დელეგატის გამოსვლით დამთავრდა დილის სხდომა.

დისკუსია გაგრძელდება 3 იანვარს დილით. პირველი გამოვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ა. ა. ვიშინსკი.

ДЕМОКРАТИЧЕСКОЕ ДВИЖЕНИЕ МИРОВОЙ ФЕДЕРАЦИИ ОБЪЯВИЛ ВНЕ ЗАКОНА КОПЕНГАГЕНСКИЙ КОМИТЕТ

КОПЕНГАГЕН, 3 января. (Корр. «Коммунист»). Газета «Ленгс ог фолкет» сообщает, что 20-24 января в Копенгагене состоится демократическое движение мирового федерального движения. Генеральная ассамблея Всемирной федерации объявила вне закона копенгагенский комитет.

ПОЛИТИКА ВОЙНЫ ПРОТИВ ПОЛИТИКИ МИРНОГО СОСУЩЕСТВОВАНИЯ

ПАРИЖ, 3 января. (Корр. «Коммунист»). Парижская газета «Ле монд» пишет, что в Париже, Лондоне и Вашингтоне с большим беспокойством обсуждают последние выступления Хрущева, в которых он, по мнению газеты, «с большим рвением» отстаивает политику мирного сосуществования.

Газета пишет, что Хрущев, выступая против «ультра», которые, по его мнению, «ставят под угрозу» политику мирного сосуществования, «ставит под угрозу» свою собственную позицию.

Газета пишет, что Хрущев, выступая против «ультра», которые, по его мнению, «ставят под угрозу» политику мирного сосуществования, «ставит под угрозу» свою собственную позицию.

ПОЛИТИКА ВОЙНЫ ПРОТИВ ПОЛИТИКИ МИРНОГО СОСУЩЕСТВОВАНИЯ

ПАРИЖ, 3 января. (Корр. «Коммунист»). Парижская газета «Ле монд» пишет, что в Париже, Лондоне и Вашингтоне с большим беспокойством обсуждают последние выступления Хрущева, в которых он, по мнению газеты, «с большим рвением» отстаивает политику мирного сосуществования.

Газета пишет, что Хрущев, выступая против «ультра», которые, по его мнению, «ставят под угрозу» политику мирного сосуществования, «ставит под угрозу» свою собственную позицию.

КОРЕЙСКИЕ ДЕЛА

КОРЕЙСКАЯ НАРОДНО-ДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА ПРОТИВ ВОЕННОЙ ПОЛИТИКИ ВОЙНЫ

ПХЕНЬЯН, 3 января. (Корр. «Коммунист»). Корейская Народно-Демократическая Республика в ответ на заявление Генеральной ассамблеи ООН о «коллективных мерах» против Корейской Народно-Демократической Республики заявила, что она не признает никакого решения, принятого без ее участия.

Корея, заявила газета, не нарушала никаких международных соглашений, и не нарушает их. Корея не нарушает никаких международных соглашений, и не нарушает их. Корея не нарушает никаких международных соглашений, и не нарушает их.

ВЬЕТНАМСКИЙ ВОПРОС

ВЬЕТНАМСКИЙ ВОПРОС ПРОТИВ ПОЛИТИКИ ВОЙНЫ

ПАРИЖ, 3 января. (Корр. «Коммунист»). Парижская газета «Ле монд» пишет, что в Париже, Лондоне и Вашингтоне с большим беспокойством обсуждают последние выступления Хрущева, в которых он, по мнению газеты, «с большим рвением» отстаивает политику мирного сосуществования.

Газета пишет, что Хрущев, выступая против «ультра», которые, по его мнению, «ставят под угрозу» политику мирного сосуществования, «ставит под угрозу» свою собственную позицию.

#